სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
N 01-062502

ქ. თბილისი 25ივნისი 2015 წ.

ერთის მხრივ **სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თამარ ბაგრატიას სახით და მეორეს მხრივ ი/მ დათო ფოცხორაია (ს/კ **29001009348**) (შემდგომში „მიმწოდებელი”), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს!“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც მიაწოდებს საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველისათვის ძრავის ზეთის (CPV – 09211100 – ძრავის ზეთები) მიწოდება.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ზუსტი აღწერა და რაოდენობა მოცემულია დანართი N1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **50** (ორმოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2 ერთეულის ფასები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ N1-ში.

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

4 ანგარიშსწორების წესი

4.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

4.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

4.3 დაფინანსების წყარო: სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ საკუთარი სახსრები.

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით მიღება–ჩაბარების აქტების საფუძველზე და სხვა დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა, სასაქონლო ზედნადები) წარდგენიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში.

5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიწოდებული საქონლის კონტროლი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებით.

5.4 ინსპექტირებას „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს თანამშრომელი.

6 საქონლის მიწოდების პირობები

6.1 მისაწოდებელი საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს დანართი N1–ში მოცემულ ტექნიკურ მახასიათებლებს.

6.2 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

6.3 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მისამართზე: ქ.თბილისი, ხოშარაულის ქ. N29/1.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

7 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტებზე ხელმოწერას და საქონლის მიღების დადასტურებას განახორციელებს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი.

8 პასუხისმგებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 7 აგვისტოს ჩათვლით.

10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში შეიცვლება დანართი N1-ით გათვალისწინებული პროდუქციის ერთეულის ფასი, მყიდველი უფლებამოსილია მიიღოს პროდუქცია და მოახდინოს ანგარიშსწორება შეცვლილი ღირებულების შესაბამისად ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

11 ხელშეკრულების შეწყვეტა

შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ვალდებულება დაკავშირებული მისაწოდებელი საქონლის ხარისხთან და ა.შ.

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12 ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის განმავლობაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13 სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14 უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

15 ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

16 შეტყობინების განხორციელება

ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17 გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18 დამატებითი პირობები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“ მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №150. საიდენტიფიკაციო კოდი: 204559691 მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი: TRESGE22 ტელ: 243 95 45 Email: zaza_dvaladze@gmail.com	ი/მ დათო ფოცხორაია ს/კ 29001009348 იურ. მის: ქ.თბილისი, ხოშარაულის ქ. N34 ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“ კოდი: BAGAGE22 ა/ა GE82BG0000000878914200 ტელ.: +995 599 324 885
_____ თამარ ბაგრატიონი უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	_____ ი/მ დათო ფოცხორაია

2015 წლის 25 ივნისის N01-062502 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დანართი N1

N	საქონლის დასახელება და მახასიათებლები	CPV	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
	2		3	4	5
1	ზეთი ჩემპიონი 15/40	09211100	5	10	50
	სულ ჯამი დღგ–ს ჩათვლით				50 (ორმოცდაათი) ლარი

შემსყიდველი:
სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“

_____

ბაბარ ბაგრატიონ

უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

მიმწოდებელი:
ი/მ დათო ფოცხორაია

_____

ი/მ დათო ფოცხორაია